# თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

## ოქმი №5

ქ. თბილისი                                        2017 წელი, 22 დეკემბერი, 11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ზუკა დავითულიანი, ვახტანგ შაქარიშვილი, დავით უთმელიძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, თევდორე ისაკაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე,

სხდომას არ ესწრებოდა: დავით უჯმაჯურიძე, გოჩა თევდორაძე (საპატიო), გიორგი გაბაშვილი

<u>სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:</u>

ვალერი ჭიღლაძე   თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი
გოგა ჩამფორია - თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი საკრებულოში
ილია ელოშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეობის კანდიდატი
თეიმურაზ ბოლოთაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი
ეკა ცეცხლაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი
თემურ ცაავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი

## დღის წესრიგი:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს - 12-03173531-03 19.12.2017)**

2. **"ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს - 12-031734954-03  19.12.2017)**

3. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №16-32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (საკრებულოს - 12-031734954-03 19.12.2017)

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს - №12-031731011-03 06.11.2017; N12-03173149-03 10.11.2017)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს 12 03173531-03 19.12.2017)

კანდიდატურა წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ბატონმა ვალერი ჭიღლაძემ. მისივე განმარტებით კანდიდატი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციითა და პროფესიონალიზმით, შესაბამისად ის სავსებით შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ამ კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება - „დადგენილი წესით თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა", ამავე კანონის 76-ე მუხლის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ მომზადებულია და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა იმსჯელოს უახლოეს სხდომაზე.

2. "ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს - 12-031734954-03 19.12.2017)**

ასევე კომისიამ იმსჯელა "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14 39 დადგენილებაში შესატან ცვლილებებზე.

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ბატონმა თეიმურაზ ბოლოთაშვილმა. მისი თქმით, ცვლილებების პროექტის მომზადება განაპირობა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების დამტკიცების, ასევე სპეციალური (ზონალური) შეთანხმებების გაცემის პროცესში წამოჭრილმა პრობლემებმა.

წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების დამტკიცების, ასევე სპეციალური (ზონალური) შეთანხმებების გაცემის პროცესში ბიუროკრატიის შემცირებას და ეფექტურობის გაზრდას, კერძოდ განაშენიანების რეგულირების წესების რიგი ნორმებიდან ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს, როგორც ერთ ერთი რგოლის ამოღება.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე, თავად ამზადებს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების პროექტებს და გასცემს შესაბამის დასკვნებს. ამავე დადგენილების თანახმად, შესაბამისი ფუნქციური ზონით დადგენილი კ-1 ან/და კ-2 კოეფიციენტების მაჩვენებლების გადამეტების შემთხვევაშიც საკომპენსაციო ღონისძიებას განსაზღვრავს მშენებლობის ნებართვის გამცემი სამსახური, ასევე სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი იღებს მშენებლობის ნებართვის გამცემი სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

იცვლება შესაბამისი უძრავი ობიექტების იურიდიული სტატუსის მინიჭების წესი, მოქმედი რედაქციის თანახმად, სტატუსის მინიჭება ხდება მშენებლობის ნებართვის გამცემი სამსახურისა და საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე ქალაქ თბილისის სკარებულოს მიერ, პროექტის თანახმად კი სტატუსს მიანიჭებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მშენებლობის ნებართვის გამცემი სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

***შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.***

3. **"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №16-32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (საკრებულოს - 12-031734954-03 19.12.2017)**

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ბატონმა თეიმურაზ ბოლოთაშვილმა. მისი თქმით, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №16 32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განაპირობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს გაუქმებამ, აღნიშნული საბჭო კი გაუქმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 13 დეკემბრის #46.19.915 განკარგულებით. ასევე დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯების გაზრდას.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

4. **„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს - №12-031731011-03 06.11.2017; N12-03173149-03 10.11.2017)**

ასევე კომისიამ განიხილა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-031731011-03 06.11.2017; N12-03173149-03 10.11.2017) მერის მიერ ორი წერილით წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და საკრებულოს წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ. არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლები - თეიმური ბოლოთაშვილი, თემურ ცაავა და ეკა ცეცხლაძე.

არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი (წერილი №12-031731011–03 - 06.11.2017წ)

საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". აღსანიშნა, რომ მითითებული წერილით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაში, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის ტექნიკური) ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 20 წინადადება.

ამასთან, პროექტის ცალკეულ პოზიციაზე გამოთქმული იქნა შენიშვნა, კერძოდ:

1. **წერილი №12-031731011-3 – 06.11.2017წ, - პირველი პოზიცია, ქ. თბილისში, ისნის რაიონში, გალავნის ქუჩა #19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.17.02.041.037), (10 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონას შორის.**

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 14.09.2017 წლის ოქმი #37), განმცხადებელი.: გ.ციმაკურიძე. AR1539222. ტექსტში საკადასტრო კოდი: #01.17.02.041.037, ნაცვლად უნდა იკითხებოდეს საკადასტრო კოდი: #01.17.02.041.005. გალავნის ქუჩა #19 ის ნაცვლად უნდა იკითხებოდეს გალავნის ქუჩა #32.

2. **წერილი№12-031731011-3.0611.2017წ მე-2 პოზიცია, .ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ორთაჭალის ქუჩის ბოლოს, ბოტანიკური ბაღის დამხმარე ტერიტორიიდან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.187; 01.18.06.012.019-ზე და მიმდებარედ), (954 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას, სარეკრეაციო ზონა 2-ს,სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 2-ს შორის.**

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 2-ით,სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 18.05.2017 წლის ოქმი #20), განმცხადებელი.: მ.სუხიტაშვილი.AR1503536. დამატებითი შესწავლის მიზნით მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება გადადებულ იქნა.

3. **წერილი№12-031731011-3.0611,2017წ მე-5 პოზიცია, ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბანი, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: NN81.08.03.659, 81.08.03.140 და მის მიმდებარედ), (5335 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სასოფლო-სამეურნეო ზონას, საცხოვრებელ ზონა 1-სა და სტრანსპორტო ზონა 1-ს შორის.**

სასოფლო სამეურნეო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 1-ითა და სატრანსპორტო ზონა 1 ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 05.10.2017 წლის ოქმი #40), განმცხადებელი.: ზ.გოგუა.AR1544858. ტექსტში „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბანი, დიდ ლილოში" უნდა დაემატოს სიტყვები „პატარა ლილო" და უნდა იკითხებოდეს „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბანი, პატარა ლილო, დიდ ლილოში" .

4. წერილი№12-031731011-3 06.11.2017წ, მე-6 პოზიცია, ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, რუსთავის გზატკეცილი #50-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.010-ის მიმდებარედ), (101 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 12.10.2017 წლის ოქმი #41), განმცხადებელი.: კ. გოჩელაშვილი AR1548358. დამატებითი შესწავლის მიზნით მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება გადადებულ იქნა.

5. წერილი №12-031731011-3 – 06.11.2017წ, მე-14 პოზიცია, ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, შატბერაშვილის ქუჩა #50-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.11.065.075), (266 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 3-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 3-ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 12.10.2017 წლის ოქმი #41), განმცხადებელი.: ჯ.აფციაური.AR1548056. დამატებითი შესწავლის მიზნით მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება გადადებულ იქნა.

6. წერილი№12-031731011-3.0611.2017წ მე-16 პოზიცია, ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, მარუხის გმირები #1-3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:##01.14.11.058.063, 01.14.11.058.017, 01.14.11.058.031, 01.14.11.058.072, 01.14.11.058.057, 01.14.11.058.051, 01.14.11.041.026, 01.14.11.058.058-ის ნაწილზე და მის მიმდებარედ ), (5607 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 3-სა და საცხოვრებელ ზონა 5-ს შორის.

საცხოვრებელი ზონა 3 იცვლება საცხოვრებელი ზონა 5-ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 05.10.2017 წლის ოქმი #40), განმცხადებელი: გ.მაღალდაძე

AR1546054. დამატებითი შესწავლის მიზნით მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება გადადებულ იქნა.

7. **წერილი№12-031731011-3.0611.2017წ, მე-17 პოზიცია, ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა №74, მირიან მეფის ქუჩა №70, მირიან მეფის ქუჩა №36-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN 01.72.14.038.461, 01.72.14.038.516, 01.72.14.038.357, 01.72.14.038.096, 01.72.14.038.515, 01.72.14.038.094-ზე და მიმდებარედ), (7514 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 3-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის.**

საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 3 იცვლება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 19.10.2017 წლის ოქმი #42), განმცხადებელი: ნ.კაციტაძე.AR1549184. დამატებითი შესწავლის მიზნით მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება გადადებულ იქნა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წერილი №12 031731011-3.06.11.2017წ. დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20 105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 20 წინადადება, წერილი№12-031731011-3.0611.2017წ, პირველი პოზიციაზე AR1539222, მე-2 პოზიციაზე AR1503536, მე-5 პოზიციაზე AR1544858, მე-6 პოზიციაზე AR1548358, მე-14 პოზიციაზე AR1548056, მე-16 პოზიციაზე AR1546054 და მე-17 პოზიციაზე AR1549184 გამოთქმული შენიშვნით, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

ასევე კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი (წერილი №12-03173149-03 - 10.11.2017წ) საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". აღინიშნა, რომ მითითებული წერილით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაში, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის ტექნიკური) ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 19 წინადადება.

ამასთან, პროექტის ცალკეულ პოზიციაზე გამოთქმული იქნა შენიშვნა, კერძოდ:

1. წერილი **№12-03173149-03 - 10.11.2017**წ პირველი პოზიცია, ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში, მაქს ტილკეს ქუჩის I ჩიხი **N11**-ში, მაქს ტილკეს ქუჩის I ჩიხი **N13**-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე **(საკადასტრო კოდი: N01.72.14.065.011, 01.72.14.065.012, 01.72.14.065.014), (1832 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 2-სა და საცხოვრებელ ზონა 3-ს შორის.**

სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება საცხოვრებელი ზონა 3 ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 19.10.2017 წლის ოქმი #42), განმცხადებელი.: ქ.ჟვანია.AR1548790. დამატებითი შესწავლის მიზნით მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილების განხილვა გადადებულ იქნა.

2. წერილი **№12-03173149-03 10.11.2017**წ. მე-**2** პოზიცია, ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თ. ერისთავის ქუჩა **N8**-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე **(საკადასტრო კოდი: N01.12.12.003.070), (10396 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური** განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად:

სამრეწველო ზონა 1 და სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ითა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 19.10.2017 წლის ოქმი #42), განმცხადებელი.: მ.პაპუკაშვილი.AR1549565. დამატებითი შესწავლის მიზნით მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილების განხილვა გადადებულ იქნა.

3. წერილი **№12-03173149-03 - 10.11.2017**წ. მე **-6** პოზიცია, ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის დასახლებაში,მიქაძის ქუჩა **N17**-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე **(საკადასტრო კოდი: N01.11.10.001.232), (574 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის.**

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 19.10.2017 წლის ოქმი #42), განმცხადებელი.: გ.ფსუტური.AR1550345. დამატებითი შესწავლის მიზნით მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილების განხილვა გადადებულ იქნა.

4. წერილი **№12-03173149-03.10.11.2017**წ. მე **-12** პოზიცია, ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, თქროყანა, ფუნიკულიორის ზედა პლატოზე არსებულ მიწის ნაკვეთზე **(საკადასტრო კოდი: N01.15.07.006.101**-ის ნაწილზე**), (129 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა და საცხოვრებელ ზონა 1-ს შორის.**

-ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 1-ით, („ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 12.10.2017 წლის ოქმი #41), განმცხადებელი.: მ.უცუნაშვილი.AR1538432. საკითხის ადგილზე შესწავლის მიზნით მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილების განხილვა გადადებულ იქნა.

5. წერილი **№12-03173149-03.10.11.2017წ.** მე **-18** პოზიცია, ქ. **თბილისში, მთაწმინდის რაიონში, რჩეულიშვილის ქუჩა N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.02.060.030), (679 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 5-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის.**

-საცხოვრებელი ზონა 5 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით, („ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 31.08.2017 წლის ოქმი #35), განმცხადებელი.: გ.კერესელიძე AR1535763. ტერიტორიულ სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილების განხილვა გადადებულ იქნა.

6. **წერილი№12-03173149-03.10.11.2017წ.** მე **-19 პოზიცია, ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანა, ზესაის ქ. ნ/გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.15.07.006.044), (1441 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა და საცხოვრებელ ზონა 1-ს შორის.**

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 1-ით, („ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 06.07.2017 წლის ოქმი #27), განმცხადებელი.: ვ.რჟანსკი.AR1546276; AR1520410. მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილების ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილების განხილვა გადადებულ იქნა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი (წერილი №12-03173149-03.10.11.2017წ) დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 19 წინადადება, წერილი№12-03173149-03.10.11.2017წ. პირველი პოზიციაზე AR1548790, მე 2 პოზიციაზე AR1549565.მე 6 პოზიციაზე AR1550345, მე 12 პოზიციაზე AR1538432, მე 18 პოზიციაზე AR1535763 და მე -19 პოზიციაზე AR1546276; AR1520410 გამოთქმული შენიშვნით, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

*ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

სხდომის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე